ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით დაიწყეს

კრებულტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1972 წ.
№ 78 (4588)
20 აპრილი, ხუთშაბათი,
ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

ფიზკულტურის რესპუბლიკური აქტივის კრების შესახებ

18 აპრილს თბილისში, მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს ფიზკულტურული აქტივის კრება.

კრებამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის გ. ხინხარულიძის მოხსენება „რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით“.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ო. ცანავა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, არმიელთა სპორტკლუბის უფროსი ვ. პრუსაკოვი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე, დოსაფის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შვანგირაძე, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სიმაღლეზე ხტომაში სსრ კავშირის ექსრეკორდსმენი, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე ბ. შხვაცაბაია, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ვ. ანტონოვი, საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლ. ქავთარაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ო. ეცადაშვილი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ბუბაზი, საქართველოს სსრ საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ფორაქიშვილი, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დირექტორი ი. მეტრეველი.

აქტივის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი.

ქ. ზუგდიდის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი დროულად შეუდგა ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების მასობრივად და ორგანიზებულად ჩაბარებისთვის მზადებას. კომიტეტის სხდომაზე დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, შეიქმნა სიმნოსანთა მომზადების საქალაქო საბჭო, რომელიც კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას ხელმძღვანელობს.

ქალაქში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თვალსაჩინოებას; ბევრგან გაკრულია ნორმატივების ცხრილები, გამოუშვეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები, მოეწყო ფოტოსტენდი. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს დიდ ადგილს უთმობს საქალაქო გაზეთი „მებრძოლი“.

ნორმატივების ჩაბარება წარმატებით დაიწყეს ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტსკოლებში, 1-ელ, ე-2, მე-5 საშუალო სკოლებში, ენგურჰესალდკომბინატში, ენგურჰესის მშენებლობის მთელ რიგ სამმართველოებში. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს „დინამომ“, „კოლმეურნემ“, „ბანთიადმა“, „სპარტაკმა“.

ამას წინათ ცეცხლის ხაზზე გაიმართა ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა 100-ზე მეტი მსროლელი. „სპორტული ცვლის“ საფეხურის პროგრამით ასობით მოსწავლემ ჩააბარა ნორმატივები მძლეოსნობაში.

კულტურისა და დასვენების პარკში კომპლექსის პროგრამით წვეულებისთვის გაიმართა 1000 მეტრზე რბენა. სტადიონი დაეთმო ფიზკულტურისა და სპორტის მეცნიერებს, მასწავლებლებს, მწვრთნელებს, მხაჯებს. 100 და 400 მეტრზე რბენასა და საგრძეზე ხტომაში ნორმატივები იერეოსა და ვერცხლის ნიშანზე ჩააბარეს ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ლოგუამ, „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. გარდაკამ, „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ გ. საჯაიამ, ფიზკულტურის მასწავლებლებმა ნ. ფარცვანიამ, ზ. შულაიამ, გ. კუტალიამ, გ. ქაძანაიამ, ვ. ჯორჯიკიამ, ლ. ფიფიამ ხ. იოსელიანმა და ფეხბურთის მსაჯმა ჯ. გოგიამ.

„მხნეობისა და ჯანმრთელობის“ საფეხურის ჩასათვლელ ნორმატივებს მნიშვნელოვნად გადაჭარბეს უფროსი თაობის მასწავლებელმა თ. ჭითანავამ, რ. კუტალიამ, ა. დიდიშვილმა...

ბ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

* * *

სურათებზე: ფიზიკურზრდის მასწავლებლები (მარცხნიდან) რ. კუტალია, თ. ჭითანავა, ა. დიდიშვილი, ვ. ჯორჯიკია, გ. ქაძანია, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლოგუა პირველ შედეგებს ამოწმებენ; ფიზკულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ჯგუფი ნორმატივების ჩაბარებისას.

კ. ყუფუნიას ფოტო.

ქუთაისში ჩატარდა რესპუბლიკური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც გამოდიოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და რუსთავის კოლექტივები.

სურათზე: შეჯიბრების პრიზიორები გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე. მარცხნიდან — ს. ბრიკი, მ. ვიშნიაკოვა, მ. კერესელიძე.

ჯ. ფხაკაძის ფოტო.

ᲡᲡᲡᲠ ᲐᲕᲐᲯᲘᲝ-72

● ᲞᲘᲠᲝᲕᲡᲙᲘ, 18 აპრილი. აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში. ორჭიდში საუკეთესო აღმოჩნდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ნ. ნოგოვიცინი (კემეროვო). ტრამპლინიდან ხტომაში ახალგაზრდა ი. კალინინი (ლენინგრადი). ქალაქის ყველაზე დიდი — 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბაკურიანელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ ტრამპლინის რეკორდი დაამყარა — 100 მ.

● ᲚᲕᲝᲕᲘ, 18 აპრილი. მსროლელთა აქ დაწყებულ საკავშირო ჩემპიონატში ლენინგრადის ნაკრებმა (ნ. პესტანოვი, ვ. რახკოვალოვი ვ. ბელოკუროვი, ა. ბოჩაროვი) ანევმატური შაშხანით 10 მეტრიდან შეჯიბრებაში (40-40 გასროლა) დააგროვა 1511 ქულა, რაც 8 ქულით სჯობს „დინამოს“ ნაკრების შარშანდელ საკავშირო მიღწევას.

● ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲠᲘ, 13 აპრილი. გფრ-ის ამ ქალაქში მიმდინარეობს მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთის, ჩასკინეელი ქვეყნის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და შეეციის წარმომადგენლები. წარმატება ხვდა წილად 15 წლის ჰოლანდიელ გოგონას ა. რიინდერსს, რომელმაც თავისუფალი სტილით 200 მეტრზე 2.07,2 აჩვენა. ეს შედეგი უსტრად ერთი წამით უკეთესია გ. ვეტცკოს (გდრ) ევროპულ რეკორდზე.

● ᲠᲝᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ, 18 აპრილი. დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ქალებში უძლიერესი იყო უნგრეთის გუნდი, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში სძლია გფრ-ის ნაკრებს — 3:0. სსრ კავშირის ქალთა გუნდმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელები (3:2) და მესანე ადგილი მოიხვეჭა. ვაეთა მორის ყველას აჯობეს შვედებმა. მათ ფინალში დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები —5:1, საბჭოთა გუნდი მხოლოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲡ

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურის კომიტეტმა „მზად ვართ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვისთვის გარკვეული მუშაობა ჩაატარა. კომიტეტის კოლეგიის სხდომამ აჭარის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეებს, სპორტსაზოგადოებათა საოლქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებს, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს გააცნო საბჭოთა მთავრობის 17 იანვრის გადაწყვეტილება ახალი კომპლექსის შემოღების თაობაზე, განიხილეს კომპლექსის ნორმატივები, შეიქმნა ნორმატივების მიმღები რესპუბლიკური კომისია 16 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ ჩატარდა სემინარები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკურზრდის მასწავლებლების, წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეთოდისტებისთვის. სპეციალური ლექცია წაიკითხა ბათუმის შ. რუსთაველის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ი. მეკანაიამ. სემინარები ჩატარდა, აგრეთვე, ხულოში, ქედაში, ქობულეთში.

ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში გაიმართა ახალი კომპლექსის ნორმატივებით გათვალისწინებული შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. სარბიელზე გამოვიდა ხულოს, შუახევისა და ქედის 100-ზე მეტი წარმომადგენელი, სულ სხვადასხვა ასაკის ხალხი.

ახლა აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა ყველამ ჩააბაროს ახალი კომპლექსის ნორმატივები.

აჭარის ფიზკულტურის კომიტეტის სპეციალური დადგენილება ფიზკულტურის კომიტეტებს, კოლექტივებს ავალებს შეიმუშაონ სპეციალური ღონისძიებები ახალი კომპლექსის დანერგვისა და პროპაგანდის მიზნით.

შ. მამინაშვილი,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიის თავმჯდომარე.

რაიონული ინფორმაციები

სოხუმი

გაიმართა ქალაქის პირადი პირველობა ბადმინტონში. ქალთა შორის გაიმარჯვა ტ. ხიკიტინამ, ვაჟებში — ფ. ელიმაკაშვილმა. ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს ძმებმა გ. დ. მ. ნერსესიანებმა, ქალთა წყვილებში — ნიკიტინამ და ლ. გელენავამ, შერეულ წყვილებში — ნიკიტინამ და გ. ნერსესიანმა.

გ. იაშვილი.

ჩხოროწყუ

რაიონის მოსწავლე მოჭადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში 12 საშუალო და 4 რვაწლიანი სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს ჩხოროწყუს 1-ლი, II — ლესიჭინის 1-ლი და III — ჩხოროწყუს მე-2 საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. კოგონებს შორის გაიმარჯვეს: I. შ. ახალაიამ (ჩხოროწყუს 1-ლი სკოლა), II. მ. სიჭინავამ (ლესიჭინის მე-2 სკოლა), III. ლ. სიჭინავამ (ლესიჭინის 1-ლი სკოლა). ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ზ. ფირჩხაია (ჩხოროწყუს 1-ლი სკოლა), II. თ. შულაია (ჩხოროწყუს მე-2 სკოლა), III. თ. ლასარეიშვილი (საარაკოს სკოლა).

ტ. ლემონჯავა,
პირველობის მთავარი მსაჯი.

გურჯაანი

ველისციხის № 13 პროფტექნიკურ სასწავლებელში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოშაშეებში უძლიერესი იყო ა. ხუციშვილი, მაგიდის ჩოგბურთელებში — თ. ძამუკაშვილი.

ა. ჯალალანია.

ოჩამჩირე

ჭადრაკში გუნდურ, ვარდამავალი თასისთვის შეჯიბრებაში რაიონული ცენტრის 6 საშუალო სკოლა მონაწილეობდა. თასი რკინიგზის მე-15 სკოლის გუნდმა დაისაკუთრა. კოგონებს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა მ. ოქსუზიანმა (მე-2 სკოლა), ვაჟებში 1-11 ადგილები გაიყვეს გ. ბასილაიამ და ო. ნაყოფიამ (ორივე — მე-15 სკოლა).

* * *

საინტერესოდ ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში. ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში (კოგონები) უველას აჯობეს მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში კი მე-4 საშუალო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა.

რ. ჰედია.

სამტრედია

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ კალათბურთელთა ზონალურ შეჯიბრებაში I ადგილები დაიკავეს სამტრედიელმა ჭაბუკებმა და გოგონებმა, რომლებმაც ნახევარფინალურ ტურნირებში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

ჯ. ვაშაკიძე.



შესანიშნავი საბჭოთა ძალოსნის ვასილ ალექსეევის ჩვეულება — ყოველი შეჯიბრება რეკორდებით დაამშვენოს — ამჯერადაც გამართლდა: ტალინში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში სახელგანთქმულმა სპორტსმენმა გაუპირვებლად მოიგო ჩემპიონის ოქროს მედალი ზემძიმე წონის ათლეტთათვის და ხუთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სულ რაღაც ორ წელიწადში ალექსეევმა მსოფლიო რეკორდების ცხრილში 54 შესწორება შეიტანა. ესეც თავისებური რეკორდია.

სურათზე: ვ. ალექსეევი შტანგასთან.

ე. უსპენსკის ფოტო.

ჩვენს ქვეყანაში ★ საბჭოეთში

ახალი კომპლექსის რესპუბლიკური შტაბი

კიევი, 18 აპრილი. კიევში ჩატარდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს სხდომა. ამჯერად მსჯელობის საგანი იყო თემა: „ახალი კომპლექსი საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“.

საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის ორგზის გმირმა ა. ნედბაიკინმა საკავშირო კორესპონდენტს უთხრა, რომ ამ საზოგადოებრივი ორგანოს ძირითადი მიზანია ფიზკულტურულ მოძრაობაში ხალხის ფართო წრის ჩაბმა, საბჭოთა კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განხორციელება.

რესპუბლიკური საბჭო ახალი კომპლექსის დანერგვის მთავარ შტაბად უნდა იქცეს. საბჭოს მუშაობის ერთერთი მთავარი მიმართულებაა ახალი კომპლექსის დანერგვაში მოპოვებული გამოცდილებისა და პრაქტიკის განზოგადება, შესწავლა და ფართოდ გავრცელება.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს ოლქებს, ქალაქებსა და სასოფლო რაიონებს შორის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის დანერგვაში სოციალისტური შეჯიბრების დებულება.

საკავშირო ოლიმპიადაზე

ნიკოლაევის ოლქი. სსრ კავშირის ცხენოსანთა ნაკრები გუნდი „კოლოსის“ ცენტრალური საბჭოს პირველობისთვის ემზადება.

სურათზე: ვარჯიშობენ ქვეყნის ნაკრების ცხენოსნები.

კ. დუდჩენკოს ფოტო.



ბაკო. აზერბაიჯანის დოსაფის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულტექნიკური სკოლის სპორტსმენები გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ ვარჯიშს.

ნ. იგნატიევის ფოტო.

კაკულია III ადგილზე

ტაშკენტში დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტრადიციული საგაზაფხულო ტურნირი. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში გავიდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი ვ. კოროტკოვი (მოსკოვი) და თ. ლებუსი (ტალინი). თვითეულმა ფინალამდე 7-7 მატჩი მოიგო. ფინალში უპირატესობა კოროტკოვის მხარეს იყო და, ბუნებრივია, მან გაიმარჯვა — 6:3, 7:5, 6:2. III ადგილისთვის ბრძოლაში თავი ისახელა თბილისელმა თ. კაკულიამ. მან ეს გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო მოსკოველ ა. ვოლკოვს — 6:3, 6:2, 6:3. აღსანიშნავია, რომ კაკულიამ ქვეჯგუფში 6 მატჩი მოიგო და მხოლოდ 1 წაგო (კოროტკოვთან).

ვინ ვის?

თბილისის თასის წლევანდელ გათამაშებაში ჩოგბურთელ ვაჟთა 8 და ქალთა 5 გუნდი ჩაება. ვაჟთა გუნდების ასპარეზობამ იმითაც გამოიწვია დიდი ინტერესი, რომ მასში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა. მისმა გუნდმა — „დინამომ“ მშრალი ანგარიშით (5:0) მოუგო თბილისის განათლების განყოფილების ნაკრებს და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალისკენ გაიკაფა გზა „ბურევესტნიკის“ ნაკრებმაც, რომელმაც დაამარცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (4:1). გათამაშების ეს ეტაპი „უმტკივნეულოდ“ გაიარეს თბილისის არმიელმა და განთიადელმა ჩოგბურთელებმაც. პირველებმა მეოთხედფინალში დამარცხეს უნივერსიტეტელები (5:0), ხოლო მეორეებმა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი (5:0).

ქალთა გუნდური შეჯიბრების ფინალში გავიდნენ „დინამო“ (დამარცხა უნივერსიტეტის გუნდი ანგარიშით 5:0) და „ბურევესტნიკი“ (დამარცხა არმიელთა ნაკრები ანგარიშით 5:0). არმიელებმა მეოთხედფინალში სძლიეს თბილისის განათლების განყოფილების გუნდს (5:0).

საქართველოს

ვაქვეყნებთ საქართველოს 10 საუკეთესო მოცურავის სიას 1971 წლის შედეგების მიხედვით სახეობის შემდეგ აღნიშნულია სპორტსმენი, შედეგი, დაბადების წელი, ქალაქი და საზოგადოება.

ქალები

თავისუფალი სტილი 100 მ. ლ. სუნინა — 1.06,0 (1958), გაგრა, „განთიადი“, ი. მარგიშვილი — 1.06,0 (57), თბილისი, „სპარტაკი“; რ. მიჭაძე — 1.07,9 (57), თბილისი, „დინამო“; ნ. კოსტიუჩენკო — 1.08,5 (55), თბილისი, „განთიადი“; ნ. გორბუნოვა — 1.09,0 (54), ბათუმი, „სპარტაკი“; ი. ზოტოვა — 1.09,4 (54), ქუთაისი, „განთიადი“; ნ. შმილიკი — 1.10,3 (55), ბიჭვინთა, „განთიადი“; ი. ბოგდანოვა — 1.10,7 (57), თბილისი, „დინამო“; ე. შაიდულოვა — 1.11,5 (57), თბილისი, „დინამო“; ნ. სუშნიკოვა — 1.12,9 (55), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.09,1; 1971 წ. — 1.09,6.

200 მ. თ. დოლიძე — 2.28,8 (55), ბათუმი, „სპარტაკი“; ნ. კოსტიუჩენკო — 2.31,3; ი. მარგიშვილი — 2.32,0; ლ. სუნინა — 2.35,8, ნ. გაგუა — 2.36,8 (54), ბათუმი, „დინამო“; ნ. შმილიკი — 2.36,8; ი. ზოტოვა — 2.37,4; ე. შაიდულოვა — 2.38,0; ი. ბოგდანოვა — 2.40,8; ვ. პროსკურინა — 2.43,2 (57), თბილისი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.35,6; 1971 წ. — 2.31,1.

400 მ. ი. მარგიშვილი — 5,06,8; ე. ნიბერიძე — 5.14,2 (59), ჭიათურა, „განთიადი“; თ. დოლიძე — 5.20,0; ნ. კოსტიუჩენკო — 5.32.5; ი. შოტი — 5.38,9 (59), ჭიათურა, „განთიადი“; ო. კოზირევა — 5.44,8 (55), ბიჭვინთა, „განთიადი“; ი. კონდრატიუკი — 5.48,5 (56), თბილისი, „განთიადი“; მ. ფერნანდესი — 5.49,6 (56), ბათუმი, „განთიადი“; ნ. გეოგჩოლიანი — 5.54,3 (59), თბილისი, „ლოკომოტივი“; ე. შაიდულოვა — 5.58,1.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 5.56,9; 171 წ. — 5.38,0.

800 მ. თ. დოლიძე — 10.53,1; თ. ლეკვეიშვილი — 11.07,4 (54), თბილისი, „დინამო“; ი. მარგიშვილი — 11.08,7; ვ. პროსკურინა — 11.11,2; ნ. კოსტიუჩენკო — 11.28,4; ე. ნიბერიძე — 11.29,0; ლ. სუნინა — 11.30,0; ი. შოტი — 11.43,3; ე. შაიდულოვა — 11.48,5; მ. ფერნანდესი — 11.51,8.

საშუალო შედეგი. 1970 წ. — 12.13,0; 1971 წ. — 11.31,1.

ბრასი. 100 მ. ლ. მარლანია — 1.19,2 (51), სოხუმი, „დინამო“; მ. კირდიანოვა — 1.21,9 (58), თბილისი, „დინამო“; ე. სედიაკოვა — 1.22,2 (53), ბათუმი, „სპარტაკი“; ლ. ანდრეევა — 1.24,1 (51), სოხუმი, ლ. სელივანოვა — 1.26,2 (53), თბილისი, „განთიადი“; ლ. ურბანოვიჩი — 1.26,6 (55), თბილისი, „განთიადი“; ე. ვაპეროვა — 1.27.8 (57), ბათუმი, „დინამო“; ნ. შიიანოვა — 1.27,9 (57), ბათუმი, „განთიადი“; ნ. ოთიაშვილი — 1.29,0 (55), თბილისი, „დინამო“; ი. სელივანოვა — 1.29,9 (55), თბილისი, „ლოკომოტივი“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.27,3; 1971 წ. — 1.25,9.

200 მ. ლ. მარლანია — 2.40,9; მ. კირდიანოვა — 2.52,0; ლ. ანდრეევა — 3.00,2; ლ. სელივანოვა — 3.03,9; ე. ბედიაკოვა — 3.05,2; ე. ვაპეროვა — 3.06,6, ნ. შიიანოვა — 3.09,2; ლ. ურბანოვიჩი — 3.12,3, ნ. ოთიაშვილი — 3.12,3; ქ. არაშიძე — 3.12,4 (56), ბათუმი, „განთიადი“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 3.15 6, 1971 წ. — 3.04,4.

ბატერფლაი. 100 მ. მ. გორბუნოვა — 1.10,0 (54), ბათუმი, „სპარტაკი“; ი. ზოტოვა — 1.10,2; თ. ლეკვეიშვილი — 1.11,4; ვ. პროსკურინა — 1.14,2; ო. კოზირევა — 1.18,3; თ. დოლიძე — 1.18,7; რ. გოჩიტაშვილი — 1.21,9 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი“; ი. მარგიშვილი — 1.22,1; ნ. გაგუა — 1.23,1, ს. ნუქიფაშვილი — 1.23,2 (55), თბილისი, „დინამო“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.19,9, 1971 წ. — 1.17,3.

200 მ. ვ. პროსკურინა — 2.41,3; მ. გორბუნოვა — 2.46,2; თ. დოლიძე — 2.51,8; ო. კოზირევა — 2.55,0;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲢᲔᲥᲚᲕᲜᲐ

ამას წინათ გაგრაში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი, რომელიც მიეძღვნა სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძის ხსოვნას. მასში მონაწილეობდნენ თბილისელი (2 გუნდი), სოხუმელი და გაგრელი ფეხბურთელები.

ქალაქთა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს თბილისის განათლების განყოფილებისა და გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა, ამასთან მათ გატანილი და მიღებული ბურთების ხსვაობაც ერთნაირი აღმოაჩნდათ. ტურნირის ორგანიზატორმა — გაგრის კომკავშირის რაიკომმა გადაწყვიტა ვეტერანის სახელობის პრიზი 6 თვით გადაეცეს თბილისელებს და შემდგომი 6 თვით — გაგრელებს. ამას გარდა, შეჯიბრებაში დაწესებული იყო პრიზები ცალკეულ მოთამაშეთათვის, რომლებიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

ოჩამჩირეში გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარუანიას სახელობის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ოჩამჩირის „ამირანი" და სოხუმის „დიოსკურია". „ამირანმა" კარგად ჩაატარა ეს მატჩი, გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 და დაეუფლა თასს. ამ ტურნირშიც სპეციალური ჯილდოებით იქნენ აღნიშნული ცალკეული ფეხბურთელები.

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

რ. ᲕᲔᲓᲘᲐ.

ᲒᲕᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ Ჯ. ᲑᲔᲡᲙᲝᲕᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

● „ლელოს" წარმომადგენელ დ. ლოლაძეს ესაუბრა ცნობილი ფეხბურთელი და სპეციალისტი, მოსკოვის „დინამოს" მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ჯ. ბესკოვი. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

● კმაყოფილი თუ ხართ ბერლინის „დინამოსთან" შეხვედრის შედეგით და, საერთოდ, რას იტყვით მატჩზე?

— მატჩის შედეგით, რასაკვირველია, კმაყოფილი არა ვარ. ვიგებდით 1:0 მეტოქის მინდორზე და ამ დროს კოქემიაკინმა ბურთი ხელში აიღო, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ახლაც გაკვირვებული ვარ, როგორ „მოახერხა" კოქემიაკინმა ეს. თვითონაც ვერ მოსულა ჯერ გონს. ისე კი, ბერლინის გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენი კოლექტივიდან მინდა გამოვყო პილგუი, ბაიდაჩნი, საბო, დოლმატოვი და ევრიუჟინინი.

● განმეორებით მატჩში ლვოვში გამარჯვების შემთხვევაში ვის გირჩევნიათ შეხვდეთ — მიუნჰენის „ბაიერნს" თუ გლაზგოს „გლაზგო რეინჯერსს"?

— ძნელია გამოკყო რომელიმე ამ გუნდებიდან., და მაინც, ვფიქრობთ, ჯობებს შოტლანდიელებს შეეხვედეთ.

● რახან სიტყვა საკლუბო გუნდებზე ჩამოვარდა, ვინ მიგაჩნიათ ძლიერ საკლუბო გუნდებად მსოფლიოში, ევროპაში, სსრ კავშირში?

— სანამ პელე თამაშობს, „სანტოსი" საუკეთესო გუნდი იქნება მსოფლიოში. ევროპაში დავასახელებდი „სელტიკს" და „ბენფიკას". ჯკენი გუნდებიდან, შარშანდელით თუ ვიმსჯელებთ, კიევისა და თბილისის დინამოელებს.

● ვინ არის უძლიერესი ფეხბურთელი მსოფლიოში, ევროპაში, სსრ კავშირში?

— პელე პელედ რჩება. მასზე ძლიერი ფეხბურთელი მე არ მეგულება. ევროპაში ეუსებიოა, საბჭოთა ფეხბურთელებიდან ყველაზე უფრო მომწონს ვ. კოლოტოვი და მ. ბურცევა.

● რომელ წელს ჰყავდა სსრ კავშირს ყველაზე ძლიერი ნაკრები? მაგალითად, ე. სტრელცოვს მიაჩნია, რომ ძლიერი ნაკრები გვყავდა 1956-57 წლებში.

— ვეთანხმები სტრელცოვს. 1956 წლიდან მოყოლებული ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლით უძლიერესი ნაკრები გვყავდა. გავიხსენოთ თვით ე. სტრელცოვი, ვ. ივანოვი, ვ. ვორონინი. ლ. იაშინი, ი. ნეტო, ნ. სიმონიანი, ვ. პონედელნიკი და ფრავალი სხვა. გუნდში არ იგრძნობოდა პირველხარისხოვანი ფეხბურთელების ნაკლებობა, ლოგიკური იყო 1960 წელს ევროპის თასის მოპოვება.

● ახლანდელ საბჭოთა ნაკრებზე რას იტყვით?

— სხვადასხვა მოსაზრებით ნაკრებზე არ მინდა რაიმე ვთქვა.

● რას იტყვით იუგოსლავიელებთან მომავალ შეხვედრებზე. გავა თუ არა საბჭოთა ნაკრები გათამაშების შემდეგ ეტაპზე?

— იუგოსლავიელი ფეხბურთელები ყოველთვის „უხერხული" მოწინააღმდეგეები იყვნენ ჩვენთვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათთან არ შეიძლება თამაში. როგორც იცით, „დინამომ" შეძლო „ცრვენა ზვეზდას" დამარცხება მისსავე მინდორზე. ჩვენს ნაკრებს მეტი შანსი აქვს საერთო გამარჯვებისა.

● ვინ გაიმარჯვებს გფრ-ინგლისის წყვილში?

— არა მგონია ამ კითხვაზე გარკვეული რამ საერთოდ ვინმემ თქვას.

● ვინ მოიპოვებს ევროპის პირველობას?

— ყველას ერთნაირი შანსები აქვს.

● მომავალ მსოფლიო პიოკელობაში ვის დარჩება მოგება — ევროპას თუ სამხრეთ ამერიკას?

— თუ ბრაზილიელები პელეს ჩამოიყვანენ, ძნელი იქნება წინასწარ რაიმეს თქმა, ისე კი, არა მგონია დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა არ გამოიყენონ კარგი შესაძლებლობა, რაც მათ 1974 წელს ექნებათ.

● რომელი გუნდის გულშემატკივარი ხართ?

— სიმართლე რომ ვთქვა, მოსკოვის „დინამოს" გარდა არც ერთისა. შეუძლებელია რომელიმე სხვა გუნდის გულშემატკივარი ვიყო, ვინაიდან ყველაფერი ამ გუნდთან მაკავშირებს.

● რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ არ გსიამოვნებდათ თამაში?

— ასეთი ფეხბურთელი იყო მოსკოვის ზარმიელთა ცენტრალური მცველი ბაშაშკინი.

● რომელი მატჩები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად როგორც ფეხბურთელს, როგორც მწვრთნელს?

— როგორც ფეხბურთელს, დამამახსოვრდა 1945 წლის მატჩი ინგლისში, „არსენალთან", როცა ჩვენ ვაგებდით 1:3 და გავიმარჯვეთ ანგარიშით 4:3. ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ რლიმპიურ მატჩს ჰელსინკში იუგოსლავიის ნაკრებთან, როცა ასევე ვაგებდით (1:5) და ვ. ბობრიკის მეთაურობით ფრეს მივაღწიეთ — 5:5. როგორც მწვრთნელს, დამამახსოვრდა შეხვედრა ბარსელონაში, როცა „დინამომ" 5:0 მოუგო ადგილობრივ „ბარსელონას", თანაც მსაჯმა სამი ბურთი არ ჩაგვითვალა.

● რამდენიმე სიტყვა თბილისის დინამოელებზე.

— რა შეიძლება ითქვას იმ გუნდზე, სადაც თავის დროზე თამაშობდნენ გამოჩენილი ფეხბურთელები ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, ა. ღოღობერიძე, შ. იამანიძე, ს. მეტრეველი, მ. შეხი და სხვები. თითოეული მათგანი მოვლენა იყო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. „დინამო" ყოველთვის იდგა ევროპის საუკეთესო გუნდების დონეზე თავისი ტექნიკური თამაშით. ტემპერამენტით. საერთო შეფასებლობებით. დღევანდელ გუნდში მომწონს მ. მაჩაიძე — უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველია საბჭოთა კავშირში.

● დიდი მადლობა საუბრისთვის. გისურვებთ წარმატებებს ნომავალ შეხვედრაში ბერლინის „დინამოსთან", შემდეგ კი — ფინალურ მატჩში.

— დიდი მადლობა. ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ გადაეცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს ფეხბურთის ყველა მოყვარულს.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲜᲘ

მდგომარეობა 20 აპრილისთვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	3	2	1	0	4—1	5
„დინამო" (თბ.)	3	1	2	0	4—1	4
„დინამო" (კ.)	3	1	2	0	3—1	4
„ნევთჩი"	3	1	2	0	3—2	4
„სპარტაკი"	3	1	2	0	2—1	4
„ზარია"	3	1	2	0	2—1	4
„ტორპედო"	3	1	1	1	3—3	3
„კარპატი"	3	0	3	0	1—1	3
„დინამო" (მნ.)	3	0	3	0	0—0	3
„დნეპრი"	3	1	1	1	3—4	3
„არარატი"	2	1	0	1	3—1	2
„ზენიტი"	3	0	2	1	3—4	2
„ყირიათი"	3	0	2	1	3—4	2
„დინამო" (მ.)	2	0	1	1	2—3	1
ასკ (როსტოვი)	2	0	0	2	0—3	0
„ლოკომოტივი"	2	0	0	2	0—6	0

ᲛᲝᲜᲐᲠᲓᲗᲐ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ

მოგვყავს მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის განვლილი ტურების შედეგები:

„ავაზა" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 1:2, „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (ბათუმი) 0:3, განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა" (გორი) 3:0, ახ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:1, ახ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 2:3, „ვანთიადი" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 5:1, „ტორპედო" (ქუთაისი) — ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 2:1.

„სპორტინტერნატი" — „განთიადი" 2:0, „მერცხალი" — „გურია" 3:0, „მეტალურგი" — გაგრა 3:0, „დილა" — თელავი 2:1, „დინამო" (თბილისი) — „კოლხეთი" 3:0, „დინამო" (ბათუმი) — განათლების განყოფილება 1:1, ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „ავაზა" 5:0, „დინამო" (სოხუმი) — „ტორპედო" 2:1, „ავაზა" — „კოლხეთი" 4:1, ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — გაგრა 2:0.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის „დინამოს" შეხვედრისას თბილისის განათლების განყოფილების გუნდთან და ქუთაისის „ტორპედოს" მატჩში თბილისის ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლასთან პირველად დასახელებული გუნდების სტადიონებზე ვერ უზრუნველყვეს კვალიფიციური გვერდითი მსაჯებით თამაშების მიმსახურება. და ეს მაშინ, როცა ბათუმშიც და ქუთაისშიც საკმაო რაოდენობით არიან შესაფერისი კატეგორიის არბიტრები და ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მსაჯთა კოლეგიების ხელმძღვანელები, რომლებმაც თავი არ შეიწუხეს მატჩები ჩატარებულიყო ნორმალურ პირობებში.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 20 აპრილისთვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
განს. განყ. (თბ.)	10	6	3	1	28—3	15
ახ. საფ. სკ. (თბ.)	10	6	3	1	19—8	15
„დინამო" (ს.)	9	7	1	1	17—9	15
„განთიადი"	8	6	2	0	18—4	14
„სპორტინტ."	10	5	3	2	12—7	13
„ტორპედო"	9	4	3	2	15—8	11
„დინამო" (ბ.)	9	3	5	1	9—5	11
„მეტალურგი"	10	4	3	3	13—11	11
„ავაზა"	11	3	3	5	12—30	9
„დინამო" (თბ.)	9	3	2	4	9—9	8
ახ. საფ. სკ. (გაგრა)	10	4	0	6	9—12	8
„დილა"	10	3	2	5	9—17	8
„მერცხალი"	10	2	3	5	10—19	7
მწვრთნ. სკ. (თბ.)	9	2	3	4	6—19	7
ახ. საფ. სკ. (თელ.)	10	0	6	4	9—15	6
„გურია"	8	1	6	1	6—13	3
„კოლხეთი"	10	0	1	9	1—20	1

ᲣᲛᲐᲡᲙᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲔᲕᲘ

ხვალ კიევში ვანახლდება „ა" კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი — ჩატარდება პირველი წრის მეორე ტურის მატჩები. გთთამაშების მოსწილეთ ათივე კოლექტივი თავს მოიყრის უკრაინის დედაქალაქში. თბილისის „დინამო", რომელიც ნ ქულით სატურნირო ცხრილში III ადგილზეა, მატჩებს გაართავს მოსკოვის უნივერსიტეტის, „დინამოსა" და „ტორპედოს" გუნდებთან, კასპიის წინააღმდეგ „შოვანი ფლოტილიის წარმომადგენლებთან (ბაქო) და ვოლგოგრადის „სპარტაკთან". როგორც ცნობილია, შარშან ამ დროისთვის თბილისის დინამოელები 3 ქულით VI ადგილზე იყვნენ

კიევის ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატი ადგილობრივ ველებს ალმაათასა და ბაქოში, სადაც ოქტომბერში შეხვედრები გაგრძელდება. მცირე შეხვედრების შემდეგ მოსკოვში დასკვნითი მატჩები მოეწყობა.

10 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

ᲪᲣᲠᲩᲐ ● 1971 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ი. მარგიშვილი — 3.06,1; ს. ნუკეფიშვილი — 3.08,4; მ. ნათლიაშვილი — 3.08,7 (60), თბილისი, „დინამო"; რ. გოჩიტაშვილი — 3.10,4; ე. ხვიბერიძე — 3.10,4; ნ. მატიუშკინა — 3.16,6 (58), თბილისი, „დინამო".

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 3.12,0; 1971 წ. — 3.01,6.

ᲒᲣᲚᲐᲓᲐ ᲪᲣᲠᲩᲐ. 100 მ. თ. ლეკვეიშვილი — 1.08,0; ი. ზოტოვა — 1.11,8; ნ. სუშნიკოვა — 1.14,2; ნ. გაჩეჩილაძე — 1.14,5 (56), ბათუმი, „განთიადი"; ტ. ვეტერი — 1.16,1 (59), „ჰაიფა", „განთიადი"; ე. შაიდულოვა — 1.21,4; მ. ციწკაძე — 1.21,5 (55), თბილისი, „დინამო"; რ. სარვაროვა — 1.21,8 (56), ბათუმი, „განთიადი"; ს. რატუშნაია — 1.23,1 (57), ბათუმი, „დინამო"; ი. ბოგდანოვა — 1.23,8. მ. ნათლიაშვილი — 1.23,8.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.19,9; 1971 წ. — 1.17,9.

200 მ. თ. ლეკვეიშვილი — 2.26,1; ი. ზოტოვა — 2.36,9, ნ. გაჩეჩილაძე — 2.41,2; ტ. ვეტერი — 2.44,1; ნ. სუშნიკოვა — 2.44,3; ე. შაიდულოვა — 2.46,0; რ. სარვაროვა — 2.52,3; მ. ციწკაძე — 2.58,1; ს. რატუშნაია — 2.59,0, ი. ბოგდანოვა — 3.00,2.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.50,2; 1971 წ. — 2.47,0.

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲩᲐ. 200 მ. ი. ზოტოვა — 2.37,1; ლ. მარდანია — 2.39,8; ვ. პროსკურინა — 2.44,2; რ. მიქაძე — 2.44,9, ნ. კოსტიუჩენკო — 2.44,9; ნ. სუშნიკოვა — 2.51,6; ლ. სუინა — 2.56,9, ი. მარგიშვილი — 2.58,6; ლ. ანდრეევა — 2.59,8. ნ. გამზინა — 3.01,3 (55), თბილისი, „განთიადი".

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.59,6; 1971 წ. — 2.50,0.

400 მ. ი. ზოტოვა — 5.42,5. თ. დოლიძე — 5.49,5; ვ. პროსკურინა — 5.51,2, რ. მიქაძე — 6.03,3; ნ. გაჩეჩილაძე — 6.05,5; მ. გორბუნოვა — 6.07,5; ლ. აკოფაშვილი — 6.19,9 (59), თბილისი, „განთიადი"; ნ. ავამზინა — 6.23,2, ნ. კოსტიუჩენკო — 6.27,2; ლ. სუინა — 6.27,5.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 6.18,4; 1971 წ. — 6.07,7.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ. 100 მ. ვ. გონჩაროვი — 56,9 (54), თბილისი, „დინამო"; ვ. გრიგორაშჩენკო — 56,9 (55), თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ე. ზელიონი — 57,2 (55), სოხუმი, „დინამო"; ა. ბუკაშკინი — 57,3 (56), ბათუმი, „განთიადი"; ი. ტიშკინი — 57,4 (56), თბილისი, „დინამო"; ა. ბავინი — 58,0 (56), ბიკვინთა, „განთიადი"; ა. არტამონოვი — 58,9 (46), ბათუმი, „განთიადი"; ს. მატვეევი — 59,3 (51), თბილისი, „დინამო"; დ. რურუა — 59,4 (56), თბილისი, განათლების განყოფილება. ნ. პოგორელოვი — 59,7 (52), ბათუმი, „განთიადი".

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.00,3, 1971 წ. — 56,1.

200 მ. ი. ლისეკი — 2.02,9 (53), თბილისი, „დინამო"; ნ. ზეზლიანუჩინი — 2.03,1 (52), ბათუმი, „ბურევესტნიკი"; ვ. გრიგორაშჩენკო — 2.04,2; ვ. თხორი — 2.04,5 (55), თბილისი, „სპარტაკი"; ვ. გონჩაროვი — 2.04,5; ე. ზელიონი — 2.06,3; ს. მატვეევი — 2.06,4; ა. ბუკაშკინი — 2.07,3. ა. კლიმენკო — 2.07,4 (54), თბილისი, „სპარტაკი", ი. ტიშკინი — 2.07,6.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.11,3; 1971 წ. — 2.05,4.

400 მ. ი. ლისეკი — 4.15,1; ნ. ზეზლიანუჩინი — 4.22,1; ა. იორდანიშვილი — 4.25,1 (55), თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ვ. თხორი — 4.25,5; ა. კლიმენკო — 4.27,9; ა. იოკიმიდი — 4.28,0 (48). თბილისი, „დინამო"; ა. ბავინი — 4.35,9; ე. ზელიონი — 4.36,0 ვ. კრასკო — 4.40,6 (53), ბათუმი, „დინამო"; ვ. გონჩაროვი — 4.45,2. ს. მატვეევი — 4.45,2. ვ. ონუფრიენკო — 4.45,2 (50), თბილისი, „შრომითი რეზერვები".

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 4.44,2; 1971 წ. — 4.30.2

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა მსოფლიო

- ცირკი ოლიმპიადის სამსახურში
- ბრძოლა მეოთხე რაუნდში შეწყდა
- რევიუ: „მხიარული ჟვრივი“



ოლიმპიური თამაშები თავისებური რეკლამაა იმ ფირმებისთვის, რომლებიც სპორტულ ინვენტარს ამზადებენ და სხვა მხრივაც ემსახურებიან სპორტის ყველაზე დიდ დღესასწაულს. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, კაპიტალისტურ სამყაროში რეკლამასაც რეკლამა სჭირდება.

მიუნჰენის მუნიციპალიტეტი ათასგვარ სარეკლამო ტრიუკებს მიმართავს, რათა დაინტერესოს მოსახლეობა მომავალი თამაშებით. აი, სწორედ ამ მიზანს ისახავს ცირკის ცნობილი მსახიობის ნ. ჰომერის სარეკლამო გამოსვლაც. ცალთვლიან ველოსიპედზე ამხედრებული ჰომერი ოსტატურად ათამაშებს ხელში ხუთ ნაირფერ რგოლს — ოლიმპიადის ემბლემას. უცხოელი ტურისტები გარკვეულ ინტერესს იჩენენ ამ ნომრისადმი.

ფოტოხურათმა, რომლის უკანა პლანზე აღბეჭდილია ოლიმპიური სტადიონისა და ველოტრეკის მშენებლობა, მთელი მსოფლიო მოიარა.



როგორც ცნობილია, ამას წინათ მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, პროფესიონალმა მოკრივემ ჯ. ფრეზიერმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა რინგზე გამოსვლა. ამ მეტოქეობის შესახებ ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა პრესაში. ერთნი ამართლებდნენ ფრეზიერს იმის გამო, რომ მან პარტნიორად აირჩია არც ისე პოპულარული მეტოქე — დანიელსი. მსოფლიო ჩემპიონის მომხრეთა აზრით, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საჭირო იყო სწორედ საშუალო ძალის მოკრივესთან შეხვედრა. ზოგნი ფრეზიერის არჩევანში ფარულ შიშს ხედავენ ასეა თუ ისე, ბრძოლამ დიდიალი გულშემატკივარი მიიზიდა. მსოფლიო ჩემპიონი იოლად გაუმკლავდა მეტოქეს — ბრძოლა მეოთხე რაუნდში შეწყდა და გამარჯვება ტექნიკური ნოკაუტით ფრეზიერს მიეკუთვნა.

სურათზე: დამარცხებული დანიელსი მეტოქის გადამწყვეტი დარტყმის შემდეგ.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადება

მატჩს საფრთხე ემუქრება

ბ. სპასკისა და რ. ფიშერის მატჩს ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ჩაშლის საფრთხე ემუქრება. ამის გამო პასუხისმგებლობა მთლიანად პრეტენდენტსა და ფიდე-ს ხელმძღვანელობას ეკისრებათ, — ასეა ნათქვამი სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადებაში.

როგორც ცნობილია, 20 მარტს ამსტერდამში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციისა (ფიდე) და სსრ კავშირის, აშშ-ს, იუგოსლავიის, ისლანდიის შესაბამისი ფედერაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მატჩის ჩატარების თაობაზე. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ რ. ფიშერმა უარი თქვა ამ პირობების მიღებაზე და დამატებითი ფინანსური მოთხოვნები წამოაყენა.

ფიშერისგან და აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციისგან ამსტერდამის შეთანხმების შესრულების გარანტიის მიღების ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

თავიანთ ინიციატივაზე უარის თქმა მარტო იუგოსლავიელ ორგანიზატორებს როდი დასჭირდათ. ახლა უკვე ისლანდიის ფედერაციამაც გამოთქვა ეჭვი მატჩის მეორე ნახევრის რეიკიავიკში გამართვის გამო. ნიდერლანდების ჭადრაკის ფედერაცია არ დაეთანხმა ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივეს წინადადებას და უარი თქვა მატჩის პირველი ნახევრის ჩატარებაზე. ფიშერის დაუსრულებელი ჭირვეულობა და ფიდე-ს დაუდევრობა რთულ მდგომარეობაში აყენებს ეროვნულ საჭადრაკო ფედერაციებს, რომლებიც ინტერესს იჩენენ შეჯიბრების ორგანიზაციისადმი. ამას გარდა, ეს ფიდე-ს ავტორიტეტსაც ჩრდილს აყენებს. საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ იგი თანაბარი ინტერესით არ უდგება მხარეებს.

აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას იდეალურად როდი მიაჩნდა მ. ეივეს კომპრომისული გადაწყვეტილება მატჩის ორ ქალაქში გამართვის თაობაზე. მაგრამ საბჭოთა მხარემ დაამტკიცა, რომ მზად იყო მკაცრად დაეცვა მიღებული თანხმობა. დამტკიცდა ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონს გულწრფელად სურს თავისი წოდება პატიოსნურ სპორტულ ბრძოლაში დაიცვას.

ფიდე-ს სამდივნოს 14 აპრილს გამოქვეყნებული კომუნიკედან ჩანს, რომ შეთანხმების ჩაშლაში ბრალი ამერიკის მხარეს ედება. ფიდე-ს ხელმძღვანელობამ კი, — ნათქვამია სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებაში, — ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა და თანმიმდევრულობა, როცა ფიშერის საქციელის გამო არავითარი ღონისძიება არ მიიღო, ვერ შეძლო დაეცვა თავისი გადაწყვეტილება.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, როცა ავსტრალიიდან მოვიდა ცნობა, რომ იმ პერიოდში იქ მყოფი ეივე ახალ ადგილს ეძებდა მატჩის ჩასატარებლად. ეივე ამბობდა, რომ მისთვის იუგოსლავიელთა უარი „ბაუგებარი და მოულოდნელი“ იყო. სსრ კავშირის ფედერაციის აზრით. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მ. ეივეს სურდა გაემართლებინა ამერიკელი დიდოსტატის საქციელი და დამნაშავედ ის გამოეცხადებინა, ვისაც ბრალი არაფერში მიუძღოდა.

ხვალ ცენტრალური მატჩია

პრაღა, 19 აპრილი. გუშინ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ლიდერებმა მორიგი წარმატებები მოიპოვეს. სსრ კავშირის ნაკრებმა დიდი ანგარიშით მოუგო შვეიცარიის გუნდს — 14:0. ამ მატჩში ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი მალცევმა. მან 4-ჯერ აიღო მეტოქის კარი და სნაიპერთა სიაში 21 ქულით ერთ-ერთ პირველ ადგილზე გადაინაცვლა (ჰოკეისტთა ტურნირში სნაიპერთა დადგენილებს მხედველობაში იღებენ არა მარტო გატანილი შაიბების რაოდენობას, არამედ იმ მიწოდებებსაც, რომელთა შემდეგაც გოლი გადის). ენერგიულად ითამაშა ვიკულოვმაც. იგი შვეიცარიელთა კარში გატანილი სამი შაიბის ავტორია. ორ-ორჯერ აიღეს მეტოქის კარი იაკუშევმა და მიხაილოვმა. ზადრინმა, სოლოდუხინმა და ვასილიევმა — თითოჯერ.

ჩეხოსლოვაკიელებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰოკეისტები პირველი წრის ანგარიშით დაამარცხეს — 8:1.

დღეს წყდება III საპრიზო ადგილის ბედი. შვეიცის გუნდს ბრინჯაოს მედლების მისაღებად აუცილებლად სჭირდება 2 ქულა გერმანელებთან შეხვედრაში.

ხვალ კი, როგორც ჩანს, გადაწყდება ოქროს მედლების საკითხი. გაიმართება ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. 22 აპრილს მოეწყობა მსოფლიო პირველობის საზეიმო დახურვა, მანამდე კი მოედანზე გამოვლენ სსრ კავშირ—შვეიცარია და ჩეხოსლოვაკია — ფინეთის წყვილები.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	8	7	1	0	73—11	15
ჩეხოსლოვაკია	8	7	1	0	61—12	15
შვეიცია	7	4	0	3	35—24	8
ფინეთი	7	2	0	5	31—35	4
გფრ	8	1	0	7	16—68	2
შვეიცარია	8	1	0	7	17—83	2

სნაიპერები

ჩემპიონატის მეორე წრეში საბჭოთა ჰოკეისტებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს შედეგიანობით ჩეხოსლოვაკიელებს. 8 მატჩის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს 73 შაიბა აქვს გატანილი. ჩეხოსლოვაკიელებმა ამდენივე შეხვედრაში 61-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი.

ვინ როგორი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის ნაკრების წარმატებაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გატანილი შაიბების რაოდენობა)? იაკუშევი, მიხაილოვი, მალცევი, ვიკულოვი — 10-10, ხარლამოვი, პეტროვი — 6-6, ზადრინი — 5, ბლიხოვი, სოლოდუხინი — 4-4, ვასილიევი — 3, ციგანკოვი — 2, გუსევი, მიშაკოვი, ლუტენკო — თითო.

შეიცვალა სნაიპერთა სია ჩეხოსლოვაკიის ნაკრებშიც (სიაში შეტანილი არ არის იმ ჰოკეისტთა გვარები, რომლებმაც გფრ-ის გუნდთან ჩატარებულ 18 აპრილის მატჩში 8 შაიბა გაიტანეს). აი, ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა გუნდური წვლილი: ჰაასი, ნედომანსკი, ირჟი ჰოლიკი — 7-7, კლაპაჩი — 6, იაროსლავ ჰოლიკი — 5, შტიასნი —4, მარტინეკი, ტაიცნარი — 3-3, ჰლინკა, კოხტა, ფარდა, ხორეშოვსკი, მახაჩი — 2-2, პოსპიშილი — 1.

სხვა გუნდებში შედეგიანი თამაშით გამოირჩევიან: მონონენი (ფინეთი) — 8, პალმკვისტი (შვეცია), ლიუტი (შვეიცარია) — 6-6 და სხვ.

ათ დიდი ხანია მიატოვეს სპორტი და ხელი მიჰყვეს ბიზნესს. მაგრამ მძლავრი კონკურენციისა და აშკარა კორუფციის პირობებში ადვილი როდი იყო გზის გაკაფვა. მ. კილიუსი და ჰ. ი. ბოიმლერი დიდხანს მეორეხარისხოვან რეკიუში გამოდიოდნენ და, ვინ იცის, იქნებ ნანობდნენ კიდეც, რომ ასე იოლად გაცვალეს სპორტული დიდება საეჭვო ასპარეზზე. კილიუსი და ბოიმლერი განსაკუთრებით პოპულარულნი იყვნენ 1964 წლის ოლიმპიადის შემდეგ, სადაც მათ ადვილად დაჩაგრეს ფიგურული ციგურაობის ყველა აღიარებული წყვილი და პირველი ადგილი დაიკავეს. ამის მიუხედავად, მათ დიდხანს უჭირდათ „ნამდვილი საქმის“ დაწყება. მეორე წყვილი — მ. შნელდორფერი და მ. ლანგენბეინი კიდევ უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდნენ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ ისეთი სახელი და ავტორიტეტი, როგორიც ოლიმპიურ ჩემპიონებს.

ახლა ისინი ბედნიერი არიან, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ოფიციალური მოწვევა მიიღეს რევიუში, რომელიც დგახს პოპულარულ ოპერეტას „მხიარული ქვრივი“.

სურათზე (მარცხნიდან): მ. შნელდორფერი, მ. ლანგენბეინი, მ. კილიუსი და ჰ. ი. ბოიმლერი.

დეკვეიშვილი, პეტროვა...

კანოვერი, 19 აპრილი. აქ მიმდინარე მოცურავეთა საერთაშორისო ასპარეზობაში ნაჩვენები იქნა მთელი რიგი მაღალი შედეგები. მოსკოველმა მოსწავლე გოგონამ ნ. პეტროვამ 200 მეტრი ოთხივე სტილით დაფარა 2.26,8-ში. ეს შედეგი ახალი ევროპული რეკორდია. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა თბილისელი თ. ლეკვეიშვილი — 1.09,0. ამ დისტანციაზე ვაჟებში უძლიერესი იყო მოსკოველი ი. გრივენიკოვი — 1.00,8. ა. სამსონოვმა (მოსკოვის ოლქი) იმარჯვა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურაში — 4.11,4.

ცურვა

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.